საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/155

ქ. ბათუმი **21 აგვისტო, 2023 წელი**

2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (მობილობის) ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანების,** „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების,** „2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტის ერთი დაწესებულებებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ" **სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2023 წლის 28 ივნისის N1.1/86 ბრძანების,** ბსუ-ს რექტორის, პროფესორ მერაბ ხალვაშის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 აგვისტოს №01-14/479 ბრძანების, „კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების,** „ბსუ-ში **მობილობის** (შიდა მობილობის) **ადმინისტრირების წესის** დამტკიცების თაობაზე“ <u>ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების,</u> 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 21 ივლისის №06-01/76 დადგენილების, რექტორის მივლინების შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 აგვისტოს N01-14/479 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლისათვის (მობილობა) განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) მობილობის მსურველთა განცხადებებისა და დოკუმენტაციის მიღება - **2023 წლის 11 სექტემბრიდან 14 სექტემბრის** ჩათვლით (მიიღება ელექტრონულად, ბსუ-ს შემდეგ ელ. ფოსტაზე - chancellery@bsu.edu.ge);

ბ) მობილობის მსურველთა მიერ ათვისებული კრედიტების ბსუ-ს ფაკულტეტის მიერ აღიარება (თავსებადობის დასკვნების შედგენა) - **2023 წლის 15-18 სექტემბერი;**
გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე (თავსებადობის დასკვნაზე) მობილობის მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება და ხელშეკრულებების გაფორმება - **2023 წლის 19-20 სექტემბერს** (17:00 - სთ. მდე). დოკუმენტაციის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების ადგილის შესახებ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამის ველში;
დ) მობილობის წესით ბსუ-ში ჩასარიცხ პირთა შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების პროექტის უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ელექტრონულად ასახვა (სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში გაგზავნა) - **2023 წლის 21 სექტემბერი.**

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის (მობილობა) გამოცხადების შესახებ ინფორმაციის მომზადება ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების მოთხოვნათა დაცვით და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად წარდგენა (web@bsu.edu.ge) ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ბსუ-ს ფეისბუკ გვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

3. ბსუ-ს ფაკულტეტებმა, სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყონ ბსუ-ში მობილობის პროცესის საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის" შესაბამისად წარმართვა.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს/ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, დეკანის ოფისს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (ასევე სამსახურებს), საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი

(რექტორის მოვალეობის შემსრულებელი) **ა. ბერიძე**